პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

ივლისი / 2022

მთავარი სიახლეები

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (EDPB) ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის მონაცემთა გადაცემის თაობაზე მოსაზრება გამოაქვეყნა

“TikTok”: იტალიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო ლეგიტიმურ ინტერესებზე დაფუძნებული „პერსონალიზებული“ რეკლამების შესახებ გაფრთხილებას გამოსცემს

აშშ-ს სენატის კომერციის, მეცნიერებისა და ტრანსპორტის კომიტეტმა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ორი აქტი დაამტკიცა

ევროპულმა სასამართლომ პრესაში მონაცემების გავრცელების შესახებ საქმის არასაკმარისი შესწავლის გამო ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (EDPB) ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის მონაცემთა გადაცემის თაობაზე მოსაზრება გამოაქვეყნა

12.07.2022

ფოტო: edpb.europa.eu

2022 წლის 12 ივლისს, მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (EDPB) ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის მონაცემთა გადაცემის თაობაზე მოსაზრება გამოაქვეყნა.

მოსაზრებაში ხაზგასმულია, რომ GDPR-ის 45-ე მუხლის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების გადაცემა, როდესაც არ არსებობს ევროპული კომისიის შესაბამისობის გადაწყვეტილება, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს დაცვის სათანადო გარანტიებს. აღნიშნულის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც მისი ძირითადი უფლებები, ასევე ამ უფლებათა განხორციელების სამართლებრივი საშუალებები (GDPR-ის 46-ე მუხლი).

„შესაბამისობის გადაწყვეტილების“ ან მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არარსებობისას, მესამე ქვეყანაში პერსონალური მონაცემების გადაცემა შეიძლება განხორციელდეს კონკრეტულ გარემოებებში, GDPR-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობის საფუძველზე („გამონაკლისები კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში“).

რუსეთის მიმართ არ არსებობს ევროპული კომისიის მიერ მიღებული შესაბამისობის გადაწყვეტილება GDPR-ის 45-ე მუხლის შესაბამისად. ამდენად, რუსეთში პერსონალური მონაცემების გადაცემა უნდა განხორციელდეს GDPR-ის V თავში წარმოდგენილი საშუალებებით.

ფოტო: flaticon.com

EDPB-მ აღნიშნა, რომ რუსეთში პერსონალური მონაცემების გადაცემისას, GDPR-ის ფარგლებში უნდა შეფასდეს მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლები და GDPR-ის V თავით გათვალისწინებული ინსტრუმენტები, რათა უზრუნველყოფილი იქნას მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

დამატებით, ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებაზე – *Schrems II* და დამატებითი ზომების თაობაზე EDPB-ს რეკომენდაციებზე, რომელთა შესაბამისად მონაცემთა გადამცემებმა უნდა შეაფასონ რუსეთში მოქმედი კანონმდებლობა ან დამკვიდრებული პრაქტიკა. თუ დადგინდება, რომ არსებობს რეალური საფრთხე მონაცემთა დაცვის

თვალსაზრისით, უნდა შეჩერდეს მონაცემთა გადაცემა.

ხაზგასასმელია, რომ ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებს აქვთ მჭიდრო ეკონომიკური და ისტორიული კავშირები რუსეთთან. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებსა და რუსეთს შორის ხდება პერსონალურ მონაცემთა ხშირი მიმოცვლა. ზოგიერთმა ეროვნულმა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაიწყო რუსეთში მონაცემთა გადაცემის კანონიერების საკითხის შესწავლა. ამ მიმართულებით ისინი განაგრძობენ მონიტორინგს და რუსეთში მონაცემთა გადაცემამდე შეისწავლიან მის გავლენას მონაცემთა სუბიექტის უფლებებსა და თავისუფლებებზე.

ესპანეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ბიომეტრიული მონაცემების გამოყენების თაობაზე ბლოგი გამოაქვეყნა

27.07.2022



ფოტო: aepd.es

2022 წლის 26 ივლისს, ესპანეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (AEPD) გამოაქვეყნა ბლოგი სახელწოდებით: „ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება - შეფასება მონაცემთა დაცვის პერსპექტივიდან“. საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების გავლენის შეფასება უნდა განხორციელდეს დამუშავების პროცესში და შესაბამისობაში იყოს მიზანთან.

ფოტო: biometricupdate.com

ამასთან, AEPD-მ ხაზი გაუსვა, რომ ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებისას შესაძლებელი ხდება ისეთი ინფორმაციის მოპოვება, როგორიცაა: ფიზიკური, ქცევითი, ფიზიოლოგიური ან ნერვული მახასიათებლები, რაც მუშავდება კონკრეტული მოწყობილობებისა თუ სენსორების საშუალებით. ასევე, მასში მოიაზრება: ხელმოწერების ნიმუშების შექმნა, რომელიც ინდივიდის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, აგრეთვე მიდევნება, პროფილირება.

ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებისას ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება ფიზიკურ პირთან თანამშრომლობით ან სხვა საშუალებით, ფიზიკური პირის ცოდნის გარეშე, დისტანციურად.

AEPD-მ აღნიშნა, რომ დამუშავების ოპერაციების ფარგლებში გამოყენებული ნებისმიერი სხვადასხვა ბიომეტრიული საშუალება უნდა შეფასდეს შესაბამისობის, პროპორციულობის, საჭიროების, მიზნის, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე გავლენის კონტექსტში. ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნას

მიღებული ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების თანმხლები რისკი როგორც პირთან, ისე საზოგადოებასთან მიმართებით.

ფოტო: flaticon.com

ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების GDPR-თან შესაბამისობისა და ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე იმ რისკის შეფასებისას, რომელიც შეიძლება ამგვარი მონაცემების დამუშავებამ წარმოშვას, მნიშვნელოვანია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით გამოყენებული იქნას ბიომეტრიული ოპერაციების განსახორციელებლად შესაბამისი კრიტერიუმები.

AEPD-მ გამოაქვეყნა სია, რომელიც, მართალია, არ არის ამომწურავი, თუმცა მასში გათვალისწინებულია ძირითადი საკითხები, რომლებიც სასურველია, რომ ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებისას მხედველობაში იქნას მიღებული:

- ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების მიზანი;
- საკანონმდებლო ჩარჩო;
- დამუშავების ფარგლები;
- კვალიფიციური პირის ჩართულობა;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება;
- ბიომეტრიული ოპერაციების გამჭვირვალობა.

ევროპულმა კომისიამ საპოლიციო სექტორში მონაცემთა დაცვის შესახებ დირექტივის გამოყენებისა და აღსრულების შესახებ პირველი ანგარიში გამოაქვეყნა

25.07.2022

ევროპულმა კომისიამ 2022 წლის 25 ივლისს გამოაქვეყნა პირველი ანგარიში საპოლიციო სექტორში მონაცემთა დაცვის დირექტივის (შემდგომში — საპოლიციო დირექტივის) შეფასებისა და განხილვის შესახებ. კერძოდ, ანგარიში განიხილავს საპოლიციო დირექტივის წესების გამოყენებას, დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად პერსონალური მონაცემების მესამე ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გადაცემის დროს. გარდა ამისა, ანგარიში მიმოიხილავს წევრი ქვეყნების მიერ დირექტივის ტრანსპოზიციას ეროვნულ კანონმდებლობაში, მისი გამოყენებისა და ფუნქციონირების პირველ შედეგებსა და დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებს.

ევროპულმა კომისიამ განმარტა, რომ შემდეგი ანგარიშის გამოქვეყნება 2026 წლისთვის იგეგმება.

ფოტო: edps.europa.eu

კომისიამ განსაზღვრა სამომავლო გეგმები შემდეგი მიმართულებებით:

სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწა

→ **კომისია** გააგრძელებს წევრი სახელმწიფოების მიერ დირექტივის ტრანსპოზიციის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღებას (დარღვევის პროცედურების ამოქმედების ჩათვლით); განახორციელებს მონაცემთა ორმხრივ გაცვლას წევრ სახელმწიფოებთან; უზრუნველყოფს მომავალი საკანონმდებლო წინადადებების დირექტივასთან შესაბამისობას.

→ **წევრმა სახელმწიფოებმა** უნდა უზრუნველყონ საპოლიციო დირექტივის სრული და სწორი ტრანსპოზიცია ეროვნულ დონეზე, მათ შორის დირექტივის აუცილებელი მოთხოვნების მითითება, თუკი მონაცემთა ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც საპოლიციო დირექტივის ტრანსპოზიციას ისახავს მიზნად, არ ითვალისწინებს ამგვარ მოთხოვნებს.

ზედამხედველობა მონაცემთა დაცვის სამეთვალყურეო ორგანოების მიერ

→ **წევრმა სახელმწიფოებმა** საპოლიციო დირექტივის ამოცანების აღსასრულებლად უნდა უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ორგანოები საკმარისი რესურსებით, რათა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შეეძლოთ, განახორციელონ საპოლიციო დირექტივაში მითითებული ყველა სახის უფლებამოსილება. ასევე, წევრმა სახელმწიფოებმა სისტემატურად უნდა გაიარონ კონსულტაცია მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან კანონპროექტებისა და ზოგადი გამოყენების ადმინისტრაციული ზომების შესახებ, რომლებიც ეხება პერსონალური მონაცემების დაცვას და გაითვალისწინონ მათი მოსაზრებები (განსაკუთრებით ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით).

→ **მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს** ანგარიში მოუწოდებს, სრულად გამოიყენონ საგამოძიებო უფლებამოსილებები, მათ შორის, საკუთარი ინიციატივით ჩაატარონ შემოწმებები; შეაგროვონ კონკრეტული სტატისტიკა, რომელიც ეხება მათ საზედამხედველო საქმიანობას საპოლიციო დირექტივის ფარგლებში; გამოიყენონ ურთიერთდახმარების ინსტრუმენტები და შეიმუშაონ პრაქტიკული ზომები დახმარების მოთხოვნასთან დაკავშირებით, მათ შორის EDPB-ის სახელმძღვანელოების გამოყენებით.

→ **EDPB-ს** ანგარიში მოუწოდებს, გაფართოებულ იქნას ექსპერტთა მხარდაჭერის ფონდი საპოლიციო დირექტივასთან დაკავშირებული ამოცანებისთვის.

კომპეტენტური ორგანოების მხარდაჭერა

→ **კომისიამ** ხელი უნდა შეუწყოს დისკუსიებს და გამოცდილების გაზიარებას წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას შორის საპოლიციო დირექტივის წევრი ქვეყნების ექსპერტთა ჯგუფის ფარგლებში; ასევე, მონაცემთა დაცვის ოფიცრებს შორის აზრთა გაცვლას მონაცემთა დაცვის ოფიცერთა ქსელის მეშვეობით.

→ **წევრი სახელმწიფოები** წახალისებული არიან, უზრუნველყონ მონაცემთა დაცვის მოთხოვნების შესახებ კომპეტენტური ორგანოებისთვის ტრენინგების ჩატარება, მათ შორის, ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.

→ **EDPB და მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები** წახალისებული არიან, გააძლიერონ საკუთარი ძალისხმევა შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების (მაგ., თანხმობის როლზე პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტექსტში სისხლის სამართლის აღსრულების მიზნებისთვის და მონაცემთა სუბიექტების უფლებებზე, მათ შორის, შესაძლო შეზღუდვებზე), ახალი დამოუკიდებელი სახელმძღვანელოების მიღებით ან GDPR-ისთვის უკვე მიღებული სახელმძღვანელოების განახლებით.

მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა

→ **კომისია** გეგმავს, აქტიურად შეუწყოს ხელი შესაძლო ახალ ადეკვატურ გადაწყვეტილებებს ძირითად საერთაშორისო პარტნიორებთან; მოლაპარაკებას თანამშრომლობის ახალ შეთანხმებებზე ევროპოლსა და ევროჯასტს შორის, ერთი მხრივ და მესამე ქვეყნებს შორის, მეორე მხრივ.

→ **კომისია,** ასევე, გეგმავს, ჩაერთოს იაპონიასთან მოლაპარაკებებში, რათა შეცვალოს ევროკავშირი-იაპონიის იურიდიული დახმარების შესახებ არსებული შეთანხმება; გააგრძელოს და დაასრულოს შეერთებულ შტატებთან ორმხრივი შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები სისხლის სამართლის საკითხებში ელექტრონული მტკიცებულებების საერთაშორისო ხელმისაწვდომობის შესახებ სასამართლო თანამშრომლობის თვალსაზრისით.

→ **კომისია,** ასევე, მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს მონაცემთა დაცვის ჩარჩო ხელშეკრულებების გაფორმების შესაძლებლობა სამართალდაცვით სფეროში მონაცემთა დამუშავებისთვის მნიშვნელოვან პარტნიორებთან, ევროკავშირი-აშშ ქოლგის შეთანხმების მაგალითზე აგებული.

→ **EDPB-ს** ანგარიში მოუწოდებს, მიღებულ იქნას სახელმძღვანელო „შესაბამისი გარანტიების“ ცნების, ასევე, შინაარსის შემდგომი განსაზღვრის მიზნით (საპოლიციო დირექტივის 37-ე მუხლი) და ასევე დათქმების გამოსაყენებლად (საპოლიციო დირექტივის 38-ე მუხლი).

კონვერგენციის ხელშეწყობა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

→ **კომისია** გააფართოებს ჩართულობას საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა გააძლიეროს მონაცემთა დაცვის წესების დაახლოება სისხლის სამართლის აღსრულების სფეროში, მათ შორის, 108+ კონვენციაზე მიერთების ხელშეწყობის გზით; ხელს შეუწყობს ორმხრივ, რეგიონულ და მრავალმხრივ თანამშრომლობას და მხარს დაუჭერს შესაძლებლობების განვითარების პროექტებს მონაცემთა დაცვისა და საპოლიციო თანამშრომლობის სფეროებში.

→ **წევრ სახელმწიფოებს** ანგარიში ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის შესახებ „ბუდაპეშტის კონვენციის“ მეორე დამატებითი ოქმის სწრაფი რატიფიცირებისკენ მოუწოდებს.

აშშ-ს სენატის კომერციის, მეცნიერებისა და ტრანსპორტის კომიტეტმა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ორი აქტი დაამტკიცა

27.07.2022

აშშ-ს სენატის კომერციის, მეცნიერებისა და ტრანსპორტის კომიტეტმა 2022 წლის 27 ივლისს დაამტკიცა ბავშვთა და მოზარდთა ელექტრონული პირადი ცხოვრების დაცვის აქტი და ბავშვთა ელექტრონული უსაფრთხოების აქტი მისი აღმასრულებელი სესიის შემდეგ.

ფოტო: termly.io

ბავშვთა და მოზარდთა ელექტრონული პირადი ცხოვრების დაცვის აქტი აწესებს მოთხოვნებს არასრულწლოვანთა და ბავშვთა პირადი ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ინფორმაციის, რომელიც უნდა მიეწოდოს მშობელს ან არასრულწლოვანს, ასევე, განმარტავს მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, როგორიცაა: გასწორება, წაშლა, და მონაცემებზე წვდომა. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა და მოზარდთა ელექტრონული პირადი ცხოვრების დაცვის აქტი კრძალავს ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობების რეალიზაციას, რომლებიც განკუთვნილია ბავშვებისა და არასრულწლოვანებისთვის, თუ კიბერუსაფრთხოების და მონაცემთა უსაფრთხოების გარკვეული სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

ბავშვთა და მოზარდთა ელექტრონული პირადი ცხოვრების დაცვის აქტის მთავარი სიახლე არის აქტის მოქმედების სფეროს გავრცელება 17 წლამდე ბავშვებზე.

ბავშვთა ელექტრონული უსაფრთხოების აქტი ელექტრონულ პლატფორმებს ავალდებულებს შეასრულონ არასრულწლოვანზე ზრუნვისა და მისი დაცვის მოვალეობები. კერძოდ, ბავშვთა ელექტრონული უსაფრთხოების აქტი ადგენს, რომ ელექტრონული პლატფორმა ვალდებულია, იმოქმედოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც იყენებს პლატფორმის პროდუქტებსა თუ სერვისებს და უნდა აღუკვეთოს სხვა პირებს არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების გაცნობა, რომლებიც შეგროვებული ან გაზიარებულია ელექტრონული პლატფორმის მიერ. გარდა ამისა, ბავშვთა ელექტრონული უსაფრთხოების აქტი აწესებს მოთხოვნებს მონაცემთა გამჟღავნებასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

ბავშვთა ელექტრონული უსაფრთხოების აქტი შეიცავს კეთილსინდისიერების შესახებ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური კომპანიების მიერ არასრულწლოვანისთვის ზიანის მიყენების პრევენციას, მომხმარებლებისა და მკვლევრებისთვის მათ, ასევე, მოეთხოვებათ მეტი გამჭვირვალობა მათი ალგორითმების ფუნქციონირების წესების თაობაზე.

ფოტო: twitter.com

ბავშვთა ელექტრონული უსაფრთხოების აქტის მიზნებია:

- მოსთხოვოს სოციალური მედიის პლატფორმებს, უზრუნველყონ ახალგაზრდა მომხმარებლებისთვის (16 და უმცროსი) ისეთი ალტერნატივები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემთ, დაიცვან ელექტრონული ინფორმაცია, გამორთონ ფუნქციები, რომლებიც შესაძლოა, დამოკიდებულებას იწვევდნენ; ასევე, უარი თქვან ისეთ ალგორითმულ რეკომენდაციებზე, რომლებიც მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების შედეგია და მომხმარებელს ისეთ კონტენტს სთავაზობენ, რომელიც მათ ჩართულობას პლატფორმაზე ხანგრძლივი დროით უზრუნველყოფს.
- მოსთხოვოს პლატფორმებს, რომ ნაგულისხმევად (“design by default”) ჩართონ პირადი ცხოვრების დაცვის მაქსიმალურად ძლიერი პარამეტრები არასრულწლოვანებისთვის.
- მიანიჭოს მშობლებს/მეურვეებს კონტროლის ახალი შესაძლებლობები, რათა დაეხმაროს მათ, აღმოაჩინონ არასრულწლოვანთა მავნე ქცევები. აქტი ელექტრონულ პლატფორმებს ავალდებულებს, უზრუნველყონ ადვილად გამოსაყენებელი შეტყობინების მექანიზმის დანერგვა, მშობელთა და არასრულწლოვანთა მხრიდან პოტენციური საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.
- სოციალური მედიის პლატფორმებისთვის მოვალეობის დაკისრება, თავიდან აიცილონ და შეარბილონ კონტენტი, რომელმაც შეიძლება, ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანებს, მათ შორის, არასრულწლოვნებისთვის უკანონო პროდუქტებისა და სერვისების პოპულარიზაციით (მაგ., აზარტული თამაშები, ალკოჰოლი), თვითდაზიანება, აკრძალული ნივთიერების გამოყენება, კვებითი დარღვევები, სექსუალური ექსპლუატაცია და თვითმკვლელობა.
- სოციალური მედიის პლატფორმებს მოეთხოვოს, ჩაატარონ ყოველწლიური დამოუკიდებელი აუდიტი, რომელიც მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა სერვისებისთვის არსებული რისკების შეფასებას და დასკვნების შესახებ საჯარო ანგარიშის გამოქვეყნებას.
- არასრულწლოვანთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის შესახებ კვლევის ჩასატარებლად, უზრუნველყონ აკადემიური მკვლევრებისა და

არაკომერციული ორგანიზაციების ხელმისაწვდომობა სოციალური მედიის პლატფორმის მონაცემთა ბაზაზე.

დანიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო "Google Workspace"-ის გამოყენებაზე აკრძალვას აწესებს

19.07.2022

დანიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ 2021 წლის 10 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ერთ-ერთ მუნიციპალიტეტს მის მიერ დაწყებით სკოლაში "Google Chromebooks"-ისა და "Workspace"-ის გამოყენებით პერსონალური მონაცემების დამუშავების რისკის შეფასება დაევალა.



ფოტო: workspace.google.com

მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული მონაცემთა სუბიექტების რისკების შეფასებისა და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე, [დანიის საზედამხედველო ორგანომ 2022 წლის 14 ივლისს დაადგინა, რომ მონაცემთა დამუშავების პროცესები გარკვეულ ნაწილებში GDPR-ის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.]

დანიის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ მუნიციპალიტეტმა არ შეაფასა გარკვეული რისკები მისთვის, როგორც მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო დაწესებულებისთვის, დაშვებული მონაცემთა დამუშავების ოპერაციების შესახებ. გარდა ამისა, მონაცემთა დამმუშავებლის ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ ტექნიკური მხარდაჭერის მისაღებად ინფორმაციის გადაცემა შესაძლებელი იქნებოდა მესამე ქვეყნებში, უსაფრთხოების დაცვის საჭირო დონის მოთხოვნის გარეშე.

2021 წლის სექტემბრის გადაწყვეტილების გათვალისწინებით მიღებულ ახალ გადაწყვეტილებაში, დანიის საზედამხედველო ორგანომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

- მუნიციპალიტეტის მიერ მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობის შეჩერების საკითხზე, როდესაც ინფორმაცია დაცვის აუცილებელი დონის გარეშე გადაეცემა მესამე ქვეყნებს;
- მუნიციპალიტეტს აეკრძალა პერსონალური მონაცემების "Google Workspace"-ის მეშვეობით დამუშავება შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებამდე, მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასების ჩატარებამდე, ასევე, დამუშავების ოპერაციების GDPR-თან შესაბამისობაში მოყვანამდე;
- გადაწყვეტილებაში მოცემულია სერიოზული კრიტიკა მუნიციპალიტეტის მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით.

დანიის საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებაში მითითებული დასკვნები, სავარაუდოდ, გავრცელდება დანიის სხვა მუნიციპალიტეტებზე, რომლებიც იყენებენ მონაცემთა დამუშავების იმავე სისტემას.

"TikTok": იტალიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო ლეგიტიმურ ინტერესებზე დაფუძნებული „პერსონალიზებული" რეკლამების შესახებ გაფრთხილებას გამოსცემს

15.07.2022

უკანასკნელ პერიოდში, TikTok-მა შეცვალა კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომლის მიხედვით 13 ივლისიდან, 18 წელს ზემოთ ასაკის მომხმარებლები მიიღებდნენ „პერსონალიზებულ" რეკლამებს, TikTok-ში ვიზიტების დროს მათი ქცევის პროფილირების საფუძველზე. პლატფორმამ მიიჩნია, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება დაფუძნებული უნდა ყოფილიყო არა თანხმობაზე, არამედ TikTok-ისა და პარტნიორების „ლეგიტიმურ ინტერესებზე". შეცვლილი კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან დაკავშირებით იტალიის საზედამხედველო ორგანომ ფაქტების შესწავლა დაიწყო და სოციალური ქსელიდან ინფორმაცია გამოითხოვა.

კომპანიის მიერ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, იტალიის საზედამხედველო ორგანომ დაასკვნა, რომ სამართლებრივი საფუძვლის ცვლილება წინააღმდეგობაში მოდიოდა ევროკავშირის 2002/58 დირექტივის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან, ასევე, იტალიის პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის 122-ე მუხლთან, რომელიც შეესაბამება აღნიშნულ დირექტივას. ორივე სამართლებრივი ინსტრუმენტი ცალსახად ადგენს, რომ მონაცემთა სუბიექტების თანხმობა არის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი „აბონენტის ან მომხმარებლის ინფორმაციის ტერმინალურ მოწყობილობაში შენახვისთვის ან უკვე შენახულ ინფორმაციაზე წვდომისათვის." იტალიის საზედამხედველო ორგანო შეშფოთდა პლატფორმაზე რეგისტრირებულ ბავშვ მომხმარებელთა დაცვის ხარისხით. TikTok-ის მიერ პლატფორმაზე წვდომისათვის ადეკვატური ასაკის შემოწმების ზომების გატარების სირთულეებთან ერთად, არსებობდა რისკი იმისა, რომ კომპანიის ლეგიტიმური ინტერესების საფუძველზე, „პერსონალიზებული" რეკლამები, მათ შორის, შეუსაბამო შინაარსი, მიეწოდებოდა 14 წელზე უმცროსს ბავშვებს.

ფოტო: freepik.com

იტალიის საზედამხედველო ორგანომ TikTok-ს ოფიციალური „გაფრთხილება" მისცა GDPR-ის 58-ე მუხლის მე-2 "a" ქვეპუნქტისა და იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის 154-ე მუხლის 1-ლი "f" პუნქტის საფუძველზე. გადაწყვეტილების მიხედვით, მონაცემთა დამუშავება კომპანიის „ლეგიტიმური

ინტერესების“ საფუძველზე, ეწინააღმდეგებოდა ამჟამინდელ მარეგულირებელ ჩარჩოს (2002/58/EC დირექტივის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და მისი შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა), სულ მცირე, მომხმარებლის მოწყობილობებში შენახულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. იტალიის საზედამხედველო ორგანომ დაიტოვა, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ღონისძიებების გატარების, მათ შორის, გადაუდებელი ზომების მიღების უფლებამოსილება.

ევროპულმა სასამართლომ პრესაში მონაცემების გავრცელების შესახებ საქმის არასაკმარისი შესწავლის გამო ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა

28.06.2022

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ფოტო: hudoc.echr.coe.int

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

საქმეში: M.D. and Others v. Spain მომჩივნებს წარმოადგენდნენ კატალონიის 20 მოქმედი მოსამართლე და მაგისტრატი.

2014 წლის თებერვალში, მათ, 13 სხვა მოსამართლესთან ერთად, შეადგინეს მანიფესტი, რომელიც ასახავდა მოსაზრებას, რომ კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით კატალონიელ ხალხს უნდა გააჩნდეს „გადაწყვეტის უფლება“ (კატალონიის დამოუკიდებლობაზე).

ამავე წლის მარტში ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია მანიფესტის შესახებ, სათაურით: „ოცდაცამეტი სეპარატისტი მოსამართლის შეთქმულება“. სტატია შეიცავდა პოლიციის მონაცემთა ბაზიდან ამოღებულ მომჩივანთა პერსონალურ მონაცემებს.

მომჩივანთა მიერ საქმის გასაჩივრების შემდეგ სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო. ამასთანავე, მომჩივნები ზიანის ანაზღაურებას ითხოვდნენ. საჩივარი არ დააკმაყოფილა გამომძიებელმა მოსამართლემ. მან განმარტა, რომ გამოსაძიებელი ფაქტები წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს, თუმცა არ არსებობდა მათი კონკრეტული პირისთვის მიკუთვნების საკმარისი საფუძველი. საჩივრების მიუხედავად, საქმის განხილვა 2016 წლის აპრილში დასრულდა.

2014 წელს მომჩივნებმა სტატიის თაობაზე საჩივრით მიმართეს მონაცემთა დაცვის სააგენტოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გაზეთის წინააღმდეგ. აღნიშნული საჩივარიც წარუმატებელი აღმოჩნდა.

საჩივრები

მომჩივნები აცხადებდნენ, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება) შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- პოლიციამ, ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე, ანგარიში შეადგინა თითოეული მომჩივნის (როგორც ზემოხსენებულ მანიფესტზე ხელმომწერის) შესახებ,

პოლიციის მონაცემთა ბაზიდან ამოღებული ფოტოების გამოყენებით;

- აღნიშნული ანგარიშები ხელმისაწვდომი გახდა პრესისთვის;
- გაზეთში მათი ფოტოები გამოქვეყნდა.

სასამართლოს შეფასება

პოლიციის მიერ შედგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა შიდა საკანონმდებლო ნორმა, რომელიც დანაშაულთან რაიმე კავშირის გარეშე პოლიციას აძლევდა ამგვარი ანგარიშების შედგენის უფლებამოსილებას. ანგარიშები შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, ფოტომასალას, გარკვეულ პროფესიულ ინფორმაციას (რომელიც ნაწილობრივ ამოღებული იყო პოლიციის მონაცემთა ბაზიდან) და ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკურ შეხედულებებს.

სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანთა პირად ცხოვრებაში ჩარევა არ შეესაბამებოდა არცერთ ეროვნულ კანონს და სახელმწიფო ორგანოებმა პერსონალური მონაცემები გამოიყენეს იმისგან განსხვავებული მიზნით, რომელიც ამართლებდა მათ შეგროვებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიციის ანგარიშების მხოლოდ არსებობაც კი, იმ პირების მიმართ, რომელთა ქცევა არ მოიცავდა რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას, უტოლდებოდა მე-8 მუხლის დარღვევას.

რაც შეეხება ინფორმაციის პრესაში გავრცელებასა და თანმდევ გამოძიებას, გაზეთში გამოქვეყნებულ მომჩივანთა ფოტოები მოპოვებულ იქნა პოლიციის მონაცემთა ბაზის მეშვეობით, რომელზე წვდომა მხოლოდ ხელისუფლებას ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ შიდა გამოძიებით ვერ დადგინდა ფოტოების გავრცელების საშუალებები, არ არსებობდა სხვა ახსნა, გარდა იმისა, რომ ხელისუფლებამ დაუშვა ამგვარი გამჟღავნების შესაძლებლობა, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მოპასუხე სახელმწიფოს. ამგვარი უკანონო გამჟღავნების შემთხვევაში, პირადი ცხოვრების პატივისცემიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს ქმედითი გამოძიების ჩატარებას.

საქმის პირველადი გამოძიების დროს გამომძიებელმა მოსამართლემ სამართალწარმოება დახურა, რადგან ვერ მოხერხდა დამნაშავეთა იდენტიფიცირება. მომჩივანთა მიერ შეტანილი საჩივრის შემდეგ, “Audiencia Provincial”-მა დაადგინა, რომ საქმის დახურვამდე არ იყო გადადგმული ყველა აუცილებელი ნაბიჯი. აქედან გამომდინარე, მან მიიჩნია საჭიროდ შემდგომი საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება, მათ შორის, ბარსელონის პოლიციის უფროსის გამოკითხვა, რომელმაც გასცა მომჩივანთა შესახებ ანგარიშების მომზადების დავალება და ანგარიშების პირდაპირი ადრესატი იყო.

გამომძიებელმა მოსამართლემ გამოძიება განაახლა და დამატებით მოწმეები გამოიკითხნენ, თუმცა არა ბარსელონის პოლიციის უფროსი და საქმე წინა შემთხვევის ანალოგიური საფუძვლით დაიხურა. გასაჩივრების შემდეგ, “Audiencia Provincial”-მა ძალაში დატოვა საგამოძიებო ორგანოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ პოლიციის უფროსის ჩვენება არ იყო საქმესთან კავშირში, რადგან არ არსებობდა მტკიცებულება, რომ იგი მონაწილეობდა გამოსაძიებელ დანაშაულებრივ ქმედებებში. ასევე, “Audiencia Provincial”-მა დაადგინა, რომ პოლიციის უფროსის ქცევა,

ნებისმიერ შემთხვევაში, არ სცილდებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სათანადო გამოძიების ჩასატარებლად საჭირო იყო, გამომძიებლებს ჩვენება მიეღოთ იმ პირისგან, რომელიც იყო ანგარიშების პირდაპირი ადრესატი, ასევე, პასუხისმგებელი იყო იმ პირებზე, რომლებმაც მომჩივანთა მონაცემები და ფოტოები პოლიციის მონაცემთა ბაზაში მოიძიეს და შეაგროვეს. განურჩევლად სისხლისსამართლებრივი თუ დისციპლინური პასუხისმგებლობისა, მისი ჩვენება დაეხმარებოდა იმ პირთა იდენტიფიცირებას, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ დანაშაულებრივ ქმედებებზე.

შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა შემცველი პოლიციის ანგარიშების შედგენის, ასევე, მასში არსებული ფოტოების გამჟღავნების გამო, სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.